ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4321037

ნომერი: AR1649501

თარიღი : 11.12.2018

გაცემის თარიღი : 27.12.2018

გაცნობის თარიღი : 27.12.2018

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა გომბორი , N 46/9;

დამკვეთი-განმცხადებელი

- თამაზ ბარბაქაძე პ/ნ 01030007109
- თბილისი ნ.გოგოლის ქ. N 40

ნომენკლატურა :

- ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლი
- II კლასი
- დემონტაჟი
- მშენებლობის ნებართვა

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: თამაზ ბარბაქაძე
- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: 01030007109

.სადემონტაჟო ობიექტის ტექნიკურ ეკონომიკური მაჩვენებლები.:

- .მიწის ნაკვეთის ფართობი (კვ.მ).: 56.0
- .საერთო ფართობი (კვ.მ).: 40.7
- .სამშენებლო მოცულობა (კუბ.მ).: 197.4
- .0.00 ნიშნულის ზევით (კუბ.მ).: 111.9
- .0.00 ნიშნულის ქვევით (კუბ.მ).: 85.5

- .შენობა-ნაგებობის კონსტრუქციული სიმაღლე (მ).: 4.85
- .0.00 ნიშნულის ზევით (მ).: 2.75
- .0.00 ნიშნულის ქვევით (მ).: 2.1

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ განმეორებით ატვირთული დოკუმენტაცია და გაცნობებთ, რომ აღნიშნული ხარვეზების შესახებ თქვენ უკვე გეცნობათ AR1649501 განცხადებაზე №4306224 გადაწყვეტილებით, რაც თქვენი მხრიდან სრულად არ არის გამოსწორებული, კერძოდ:

1. "საჭიროების შემთხვევაში მომიჯნავე შენობა-ნაგებობის კონსტრუქციული დასკვნის" ველში წარმოდგენილ იქნას კონსტრუქციული დასკვნა მომიჯნავე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო ერთეულის (ს/კ №01.12.13.045.064) მდებარე №3/2 შენობა/ნაგებობის ტექნიკურ მდგომარეობისა და საპროექტო ტერიტორიაზე არსებული შენობის დემონტაჟის პროცესში მასზე ზეგავლენის შესახებ, პასუხისმგებელი პირის მიერ ხელისმოწერით დადასტურებული. იმ შემთხვევაში თუ დასკვნაში მოთხოვნილი იქნება რაიმე სახის გამაგრებითი სამუშაოების ჩატარება მშენებლობის პროცესში დამატებით წარმოდგენილ იქნას გამაგრების პროექტი და კალენდარულ გრაფიკში ეტაპის სახით ასახული გამაგრებითი სამუშაოები; გაითვალისწინეთ იმ შემთხვევაში თუ გამაგრება შეეხება მომიჯნავე შენობებს საჭიროა დამატებით ატვირთულ იქნას მათი მესაკუთრეების შესაბამისი წესით დამოწმებული თანხმობა ჩასატარებელ სამუშაოებზე."
აღნიშნული ველი შეივსოს სრულად.

2. დამკვეთის ინფორმაციის ველებში დაიფიქსირდეს მესაკუთრე ორგანიზაცია შპს ახალი ქსელები და მისი დირექტორი (თამაზ ბარბაქაძის მონაცემები ამოიშალოს). ველები შეივსოს შესაბამისად.

3. ვინაიდან სსიპ - შემოსავლების სამსახურის 07.12.2018 წ. № 21-05/147758 წერილში მითითებულია, რომ საგადასახადო გირავნობა/იპოთეკის უფლება გაუქმებულია შპს "ახალი ქსელები"-ს (ს/ნ 211326732) საკუთრებაში არსებულ 01.12.13.045.065 კადასტრო კოდზე მდებარე უძრავი ქონებიდან მხოლოდ შენობა/ნაგებობებზე, შესაბამისად უნდა მოხდეს საჯარო რეესტრის ამონაწერის განახლება და აღნიშნული ცვლილება უნდა აისახოს ამონაწერში.

თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა მითითებული ხარვეზების გამოსასწორებლად, თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარმოადგენს სრულყოფილ შესაბამის დოკუმენტაციას აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი. გაითვალისწინეთ, რომ სამსახურის მიერ მითითებული ხარვეზების გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში, წინამდებარე განცხადება დარჩება განუხილველი.

• დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.